

შპს „ლუკექსპოჯორჯია“
404396514

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის
სახელით 2024 წლის 21 სექტემბერს:

ზაალ სამხარაძე
გენერალური დირექტორი

როინ სიჭინავა
ფინანსური მენეჯერი



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ინდივიდუალური მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....	4
2. მომზადების საფუძველი.....	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	4
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	7
5. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	8
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	8
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	8
8. საპროცენტო ხარჯი.....	9
9. მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან.....	9
10. ძირითადი საშუალებები.....	10
11. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	11
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	11
13. მარაგები.....	11
14. მიღებული სესხები.....	11
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	11
16. საგადასახადო ვალდებულებები.....	12

ინდივიდუალური მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2023	2022
შენიშვნა	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5,603,866	1,796,498
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	(3,122,772)	(626,360)
საერთო მოგება	2,481,094	1,170,138
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	(166,954)	(186,763)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(595,603)	(651,146)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	607,198	293,418
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	2,325,735	(625,647)
საპროცენტო ხარჯი	(362,367)	(443,946)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	(294,491)	(283,941)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	1,668,877	(102,240)
მოგების გადასახადი	6,987	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	1,661,890	(102,240)

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შენიშვნა (არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	10,118,391	9,733,290
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-
არამატერიალური აქტივები	4,403	4,403
სულ გრძელვადიანი აქტივები	10,122,794	9,737,693
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	408,529	785,569
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,038,036	988,653
მარაგები	0	7882
სულ მიმდინარე აქტივები	1,446,565	1,774,222
სულ აქტივები	11,569,359	11,519,797
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	1,701,000	1,701,000
გაუნაწილებელი მოგება	6,045,305	4,409,825
გადაფასების რეზერვი	-	-
სულ კაპიტალი	7,746,305	6,110,825
გრძელვადიანი სესხები	2,769,432	3,512,601
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2,769,432	3,512,601
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	879,295	1,859,576
საგადასახადო ვალდებულებები	26,075	36,795
მოკლევადიანი სესხები	148,252	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,053,622	1,896,371
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	11,569,359	11,519,797

ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწედბო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2021	1,701,000	-	4,675,170	6,376,170
კაპიტალის შემცირება მიმდინარე წლის განმავლობაში	-	-	-	-
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(132,300)	(132,300)
გადაფასების რეზერვი	-	(54,152)	-	(54,152)
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	-	(78,893)	(78,893)
31 დეკემბერი 2022	1,701,000	-	4,409,825	6,110,825
კაპიტალის ცვლილება მიმდინარე წლის განმავლობაში	-	-	-	-
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(38,400)	(38,400)
გადაფასების რეზერვი	-	11,990	-	11,990
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	-	1,661,890	1,661,890
31 დეკემბერი 2023	1,701,000	-	6,045,305	7,746,305

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს ლუკექსპოჯორჯია (შემდგომში კომპანია) არის შემზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2011 წლის 10 მარტს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404396514.

ძირითადი საქმიანობა. შპს „ლუკექსპოჯორჯია“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო დანიშნულების პროდუქციის საბითუმო რეალიზაცია ექსპორტის სახით.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია 0190, თბილისი, ვაკის რაიონი, ტირიფების ქუჩა №3, ბ. №11.

კომპანიის მენილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის წილებს ფლობდნენ შემდეგი ფიზიკური პირები: 1) ზაალ სამხარაძე, (01005001671) - 70%. 2) მარიამ გრძელიძე, (01005000956) - 30%.

ინვესტიციები: კომპანიას შვილობილი კომპანია არ ჰყავს.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ საშუაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-15
შენობები	40-50
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	5-10
კომპიუტერული ტექნიკა	3-10
მანქანა-დანადგარები	10-20
ავეჯი და საოფისე ინვენტარი	5-10

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც განეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შენონილი ღირებულების მეთოდს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საეჭვო ვალეები. საეჭვო და უიმედო ვალეების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადანაწილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები, რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება, როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს განეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე განეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება საეაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება საეაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

- საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადანაცვებებს აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოადგენს სამედიცინო დანიშნულების პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს. აგრეთვე კომპანიის შემოსავლის ნაწილი შედგება მისი კუთვნილი უძრავი ქონების, სასტუმროს იჯარისგან.

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ჯგუფის თვითღირებულების ხარჯი წარმოადგენს, რეალიზებულ საქონელის დამზადებაზე გაწეულ პირდაპირ და ზედნაღებ დანახარჯს.

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	(166,954)	(186,763)
ცვეთა და ამორტიზაცია	(294,491)	(283,941)
საკონსულტაციო ხარჯები	(690)	(1,125)
ქონების გადასახადი	(86,084)	(185,382)
სოციალური ხარჯები	(6,953)	(3,645)
დამღვევის ხარჯები	(2,851)	(1,520)
კომუნალური ხარჯები	(178,395)	(179,743)
საწვავის ხარჯები	(9,335)	(13,437)
საბანკო ხარჯები	(18,738)	(37,240)
პრეპარატების სარეგისტრაციო ხარჯები	(1,575)	(13,444)
ოფისის ხარჯები	(1,693)	(1,190)
რეკლამის ხარჯები	(0)	(1,117)
კომპიუტერული/პროგრამული ხარჯები	(1,643)	(3,663)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(275,054)	(232,986)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,044,456)	(1,145,196)

8. საპროცენტო ხარჯი

კომპანიის საპროცენტო ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე სასესხო ვალდებულებებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს.

9. მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

	2023	2022
სასესხო ვალდებულებები	-	-
საფაქრო და სხვა ვალდებულებები (გადაფასება)	197,876	243,944
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	-
სულ სხვა საოპერაციო შემოსავლები	197,876	243,944

შპს „ლუკვასპოტორა“ 404396514

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები ნარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა- დანადგარები	დაუმთავრებელი შენიშვნები	კომპიუტერი ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერიული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2021	309,224	-	-	1,036,173	134,001	-	8,161,912
შემოსვლა წლის განმავლობაში	23,096	-	-	36,176	97,059	-	1,811,559
გასვლა	(44,102)	-	-	-	-	-	(44,102)
31 დეკემბერი 2022	288,218	-	-	1,072,349	231,060	-	9,929,369
შემოსვლა წლის განმავლობაში	21,924	-	-	32,386	257,785	-	916,704
გასვლა	-	-	-	-	(87,745)	-	(87,745)
31 დეკემბერი 2023	310,142	-	-	1,104,735	401,100	-	10,758,328

დაგროვილი ცვეთა

31 დეკემბერი 2021	(31,962)	-	-	(86,432)	(44,555)	-	(172,699)
წლის დარიცხული ცვეთა	(23,595)	-	-	(78,896)	(20,627)	-	(283,941)
გასვლები	37,599	-	-	-	-	-	37,599
31 დეკემბერი 2022	(17,958)	-	-	(165,328)	(65,182)	-	(419,041)
წლის დარიცხული ცვეთა	(32,456)	-	-	(45,672)	(55,540)	-	(294,491)
გასვლები	-	-	-	17,230	56,365	-	73,595
31 დეკემბერი 2023	(50,414)	-	-	(193,770)	(64,357)	-	(639,937)

საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2022	270,260	-	-	907,021	165,878	-	9,510,328
31 დეკემბერი 2023	259,728	-	-	910,965	336,743	-	10,118,391

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული სალაროში	-	-
ფული ბანკში	408,529	785,569
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	408,529	785,569

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	591,560	479,405
მოკლევადიანი მოთხოვნები საწარმოს პერსონალთან	-	-
ავანსად და სესხად გაცემული თანხები	446,476	509,248
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,038,036	988,653

13. მარაგები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნედლეული და მასალები	-	-
სხვა მასალები	-	-
მზა პროდუქცია	-	-
სულ მარაგები	-	-

14. მიღებული სესხები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები შედგება სს პროკრედიტ ბანკისგან აღებული სესხებისგან. წარმოდგენილი სასესხო ვალდებულება შედგება მხოლოდ სესხის ძირისგან, რადგან კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სრულად აქვს დაფარული შესაბამისი სესხების პროცენტები.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	879,295	1,859,576
მიღებული ავანსები	-	1,438,816
გადასახდელი ხელფასები	-	-
გადასახდელი პროცენტები	-	-
ლიზინგის ვალდებულებები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	879,295	3,298,392

შპს „ლუკექსპოტორჯია“ 404396514

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე, შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

